საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
თავმჯდომარე

ბრძანება №01-18

ქ. თბილისი 23 თებერვალი 2015 წელი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე და სამსახურებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის დებულება, დანართის შესაბამისად.
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **თამარ ჟვანია**

<u>პროექტი</u>

„დამტკიცებულია“
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო
კომისიის თავმჯდომარის
2015 წლის 23 თებერვლის №01-18 ბრძანებით

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის დებულება

მუხლი 1. ზოგადიდებულებები

1. ამ დებულებით განსაზღვრულია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საარჩევნო პროცესების გამარტივებისა და ხელშეწყობის მიზნით“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2013 წლის 19 თებერვლის ბრძანებით შექმნილიშეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის(შემდგომში – სამუშაო ჯგუფი) შემადგენლობა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი.
2. სამუშაო ჯგუფი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, გაეროს 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციისა და ამ დებულების შესაბამისად.

მუხლი 2. სამუშაო ჯგუფის ამოცანები

სამუშაო ჯგუფის ამოცანებია:
1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთათვის თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნა.
2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთათვის თანაბარი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის რეკომენდაციების წარდგენა.

მუხლი 3. სამუშაოჯგუფის შემადგენლობა

1. სამუშაო ჯგუფი როგორც წესი, შედგება:
ა) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არანაკლებ ორი წევრისაგან;
ბ)საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის კოორდინაციისა და მართვის დეპარტამენტის თანამშრომლებისაგან.
გ) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საორგანიზაციო დეპარტამენტის თანამშრომლისგან.
დ) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლისგან.

ე) სსიპ - სააარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის წარმომადგენელისაგან.

2. სამუშაო ჯგუფის მუშაობაში შესაძლებელია ეთხოვოთ მონაწილეობა:

ა) სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელს;

ბ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელს;

გ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელს;

დ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელს;

ე) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის წარმომადგენელს;

ვ) ქ. თბილისის მერიის წარმომადგენელს;

ზ) საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს;

თ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წარმომადგენლებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ პირობას.

3. სამუშაო ჯგუფის საქმიანობას წარმართავს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის კოორდინაციისა და მართვის დეპარტამენტის უფროსი.

4. სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ორგანიზებას და ოქმებისმომზადებას ახორციელებენსაქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის კოორდინაციისა და მართვის დეპარტამენტის თანამშრომლები.

5. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას, ბრძანებით ამტკიცებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

6. სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეობენ იმარასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წარმომადგენლები,რომლებსაც გააჩნიათ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა საარჩევნოსაკითხებზე მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება.

მუხლი 4. სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილება

სამუშაო ჯგუფიუფლებამოსილია:

ა) მოამზადოს რეკომენდაციები,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნის მიზნით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის წარსადგენად;

ბ) მოამზადოს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთათავის თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნის მიზნით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის წარსადგენად საქმოქმედო გეგმის პროექტი;

გ) ცესკოს კოორდინაციისა და მართვის დეპარტამენტის საშუალებით, საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან გამოითხოვოს თავისი საქმიანობისთვის აუცილებელი ინფორმაცია, მასალები და დოკუმენტები;

დ) მოისმინოს სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელისმიერ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთათვის საარჩევნო პროცესების გამარტივებისა და ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ მომზადებული ანგარიშები;

ე) განსახილველ საკითხებზე ჩაატაროს კონფერენციები, სემინარები და შეხვედრები.

მუხლი 5. სამუშაო ჯგუფის სხდომის ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

1. სამუშაო ჯგუფის სხდომა ტარდება არანაკლებ კვარტალში ერთხელ ან საჭიროების შემთხვევაში;
2. სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე სამუშაო ჯგუფის წევრთა ხმათა უმრავლესობით;
3. სხდომისჩატარების ადგილია, როგორც წესისაქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ).

მუხლი 6. დებულებაში ცვლილების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით. მათ შორის, სამუშაო ჯგუფის წევრების წარდგინების საფუძველზე.